# 7 ოქტომბერი სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 ოქტომბერი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 193 (9860) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## კონსტიტუცია მოგვიწოდებს

კონსტიტუცია — ეს არის ხალხის ნება მისი მიზან-მისწრაფებებით, წარსულით, სადღეისო და სამომავლო გეგმებით, ყველაფრით, რითაც ადამიანები ილტვიან უკეთესი მერმისისაკენ. სსრ კავშირის კონსტიტუცია განამტკიცებს და აკანონებს ოქტომბრის რევოლუციისა და შემდგომი თაობების მონაპოვარს. ჩვენი კონსტიტუცია ყველაზე ჰუმანური და ყველაზე დემოკრატიულია, მაგრამ მთავარია, როგორ ხორციელდება მისი მოთხოვნები, როგორ ცხოვრობს იგი ჩვენში და როგორ ვცხოვრობთ ჩვენ სახელმწიფოს ძირითადი კანონით მონიჭებული უფლებებით, დღეს სწორედ აქეთაა მიმართული მთელი ჩვენი საზოგადოებრივი და სოციალური პოლიტიკა. შრომის, სწავლა-განათლების, დასვენების უფლება — ეს არის უმთავრესი მონაპოვარი, რასაც კონსტიტუცია აძლევს და ანიჭებს საბჭოთა ხალხს. ადამიანის მიმართ შეუნელებელი ყურადღების ერთ უმთავრეს გამოხატულებად მიგვაჩნია ზრუნვა ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი მასობრიობისათვის. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია სპორტული და ტურისტული ბაზების ფართო ქსელი, რაც უზრუნველყოფს კონსტიტუციით გარანტირებული დასვენების უფლების ხორცშესხმას. ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლებისა და ამ მიმართებით მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის დღეს შესანიშნავ შესაძლებლობებს გვიქმნის აგრეთვე კოოპერაციული მოძრაობა. ჩვენს რესპუბლიკაშიც ბევრგან შეიქმნა სპორტული კოოპერატივები და მოსახლეობა კმაყოფილებას გამოთქვამს იმ ხიკეთის გამო, რასაც მომსახურების ეს სისტემა იძლევა.

სწორედ კონსტიტუციური უფლება და მისი სოციალური საფუძვლებია ჩვენში როგორც მასობრივი, ისე მაღალი სპორტული ოსტატობის, ეგრეთ წოდებული დიდი სპორტის განვითარების ამოსავალი წყარო. სეულის ოლიმპიადამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სწორედ ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი ფიზკულტურისა და სპორტის ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მოძრაობად გადაქცევისთვის აუცილებელი პირობები. ოლიმპიური თამაშები ხომ ყველაზე სპორტულ სახელმწიფოთა თავისებური მშვიდობიანი ჭიდილია, სპორტსაც ხომ სოციალურ ნიადაგში აქვს გადგმული ფესვები. სეულის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელთა აშკარა უპირატესობით გამარჯვება ბევრის მთქმელი ფაქტია.

საბჭოთა კონსტიტუცია ფართო ასპარეზს შლის ჩვენს წინაშე, ცხოვრების ყველა სფეროსა და დარგში ახალ-ახალი წარმატებებისკენ მოგვიწოდებს.



## გაზეთ „თბილისის" პრიზზე

მძლეოსნური ამანათრბენი გაზეთ „თბილისის" პრიზზე, რომელიც ტრადიციულად კონსტიტუციის დღეს ეძღვნება, ერთ-ერთი მასობრივი შეჯიბრებაა ქალაქში. ხვალ სწორედ კონსტიტუციის დღეა და თბილისელი მძლეოსნებიც კვლავ გაითამაშებენ ტრადიციულ პრიზს. შეჯიბრება ჩატარდება ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებზე მოზომილ წრიულ ტრასაზე; სტარტი და ფინიში ლენინის მოედანზეა დანიშნული, ამანათრბენის დასაწყისი კი 11 საათზე.



ოჯახი ერის ბურჯია. თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობაზე დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკური და სულიერი სიმდიდრე. სწორედ ჯანმრთელობის განმტკიცებას ემსახურება ოჯახური სპარტაკიადა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. საოჯახო სპარტაკიადამ ჩვენს რესპუბლიკაშიც მოიკიდა ფეხი. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრების შესახებ, რომელიც კონსტიტუციის დღეს მიეძღვნა, მასალას მეორე გვერდზე გთავაზობთ.

სურათზე: სტარტზე არიან დიასახლისები.

## თემირთაუში. ღია პირველობაზე

ყარაგანდის პროფკავშირების საოლქო საბჭო ტრადიციულად ატარებს ჭაბუკ ძიუდოისტთა ტურნირს, სადაც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენებსაც იწვევს. წლევანდელ შეჯიბრებაში, რომელიც ქალაქ თემირთაუში ჩატარდა, 24 გუნდმა მოიყარა თავი. მათ შორის საქართველოდან იყვნენ რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის სპორტული სკოლის ძიუდოისტები.

ჩვენი გუნდის წევრებმა 7 საპრიზო ადგილის მოპოვება შეძლეს. პირველ ადგილებზე გავიდნენ მ. მამულოვი, გ. მაისურაძე და პ. ტაბატაძე. ბ. ნარიმანიშვილმა მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო სამი სპორტსმენი — კ. ფელიშვილი, გ. პირველი და ნ. გულიშვილი შეჯიბრების ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ. საქართველოს გუნდს ტურნირისთვის ამზადებდა რკინიგზელ ძიუდოისტთა უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი როლანდ ფუხაშვილი.



ტურნირში გამარჯვებული საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა გუნდი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## სეულის ოლიმპიადის ექო

სამი ათეული პლაკატი სპორტის იმ სახეობებისა, რომლებიც სეულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედიოდა, მრავალი საინფორმაციო და სარეკლამო მასალა, სუვენირები და თამაშების სიმბოლიკა იხილეს გუშინ თბილისის ჟურნალისტთა სახლში შეკრებილმა ჟურნალისტებმა და სპორტის მოყვარულებმა. გამოფენა მოაწყეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა, სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ და გაზეთ „ლელოს" რედაქციამ.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ გაიმართა საუბარი სეულის ოლიმპიური თამაშების, მასში საბჭოთა და საქართველოს სპორტსმენების წარმატებით გამოსვლის შედეგებზე. შეკრებილთ უჩვენეს აგრეთვე სეულში გადაღებული სლაიდები.

გამოფენამ დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის

## მეხუთე პარტია

მ. ჩიბურდანიძე —

ნ. იოსელიანი

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. ed cd 4. c4 მf6 5. მc3 e6 6. მf3 კe7 7. cd მ:d5 8. კd3 მc6 9. 0–0 0–0 10. ეe1 კf6 11. კe4 მce7 12. ლd3 h6 13. მe5 მ:c3 14. ლ:c3 მf5 15. კe3 მ:e3 16. fe ეb8 17. ეad1 კd7 18. კb1 კe8 19. მg4 კg5 20. e4 h5 21. მf2 ეc8 22. ლh3 g6 23. d5 e5 24. ლb3 b5 25. d6 კd7 26. ლg3 კf4 27. ლd3 ლb6 28. g3 კh6 29. მფg2 ეc4 30. ლe2 ეc6 31. კc2 ე:d6 32. ე:d6 ლ:d6 33. ეd1 ლe7 34. კb3 ეc8 35. ლd3 ეc7 36. ლd6 ლ:d6 37. ე:d6 მფf8 38. მd3 მფe7 39. ეa6 კc8 40. ეa5 კb7 41. მ:e5.

პარტია გადაიდო.

თითოეული პარტიის შემდეგ უფრო და უფრო მატულობს გულშემატკივართა რიცხვი თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში.

როგორც პირველ და მესამე პარტიაში, ამჯერადაც შავებით მოთამაშე ნანა იოსელიანმა კარო-კანის დაცვას მიმართა და თუ მესამე პარტიაში მსოფლიო ჩემპიონმა 13. ლd3 ითამაშა, ამჯერად 13. მe5 სვლა ამჯობინა. მიტელშპილში ჩიბურდანიძემ კარგი პოზიცია მიიღო. ცენტრში მდებარე d4, e4 პაიკები, აგრეთვე ფიგურების აქტიურობა თეთრებს შეტევის კარგ შესაძლებლობას აძლევდა, მაგრამ პრეტენდენტმა ზუსტი თამაშით შეძლო პოზიციის გათანაბრება. 25-ე სვლაზე ჩიბურდანიძემ იჩქარა, ღრმად წაწია d პაიკი, რომელიც შემდეგ დაკარგა კიდეც. იოსელიანმა თანდათან გაცვალა ფიგურები, მაგრამ ცაიტნოტში ზედმეტი პაიკი დაუთმო მეტოქეს. საბოლოოდ პარტია გადაიდო. თავისი 41-ე სვლა ჩაიწერა პრეტენდენტმა.

ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.

თელავი.

## გუშინ...

მოეწყო ამ პარტიის დამთავრება. 61-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. ამრიგად, 5 პარტიის შემდეგ ანგარიშია 2,5:2,5.

## მეორე ტურში...

რეიკიავიკში (ისლანდია) მიმდინარეობს მოჭადრაკე ვაჟთა „მსოფლიო თასის" გათამაშების მესამე ეტაპი. გაგაცნობთ მეორე ტურის შედეგებს: გარი კასპაროვი — ულფ ანდერსონი (შვეცია) — 1:0, პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია) — ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 1:0, ალექსანდრე ბელიავსკი — იან ტიმანი (ჰოლანდია) — 0,5:0,5, მარგეირ პეტურსონი (ისლანდია) — ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) — 1:0, მიხეილ ტალი — არტურ იუსუპოვი — 0,5:0,5, იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია) — ზოლტან რიბლი (უნგრეთი) — 0,5:0,5, ანდრეი სოკოლოვი—ჯონათან სპილმენი (ინგლისი) — 0,5:0,5, ჯონ ნანი (ინგლისი) — იან ელვესტი — 0,5:0,5, ბორის სპასკი (საფრანგეთი) — დიულა საქსი (უნგრეთი) — 0,5:0,5.

**სსრ კავშირის კონსტიტუციის**

**მუხლი 41.** სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება.
ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთათვის არა უმეტეს 41-საათიანი სამუშაო კვირის დაწესება და მთელი რიგი პროფესიებისა და წარმოებების სახით დადგენილი შემცირებული სამუშაო დღე, ღამით მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობა; ყოველწლიური ფასიანი შვებულებების მიცემა, ყოველკვირეული დასვენების დღეები, აგრეთვე, კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება; საცხოვრებელ ადგილზე დასვენების ხელშემწყობი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების სხვა პირობების შექმნა.

# მომავალ შეხვედრამდე

**ზუგდიდის** ტურისტული ბაზა (დირექტორი ო. დარასელია), რამდენიმე წელია საკავშირო მარშრუტებით ჩამოსულ ტურისტებს ემსახურება. წლევანდელი სეზონი აქ 5 სექტემბერს წარმატებით დამთავრდა. მისი სტუმრები უზრუნველყოფილი იყვნენ კეთილმოწყობილი საძინებელი კორპუსებით, კაბინეტებით, სასადილოთი და კულტურული მომსახურების ყველა საშუალებით.

ჭვიბერისა და ნაკრის უღელტეხილებით გადმოსული ტურისტები ათვალიერებდნენ ზუგდიდის ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ბოტანიკურ ბაღს და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობებს, ხოლო აქედან ისინი მარშრუტს აგრძელებდნენ ოჩამჩირის, სოხუმისა და ახალი ათონის ტურისტულ ბაზებში.

ზუგდიდის ტურბაზის შთაბეჭდილებებისა და წინადადებების წიგნში დამსვენებლები ტოვებენ უამრავ ჩანაწერს, სადაც ისინი დიდ კმაყოფილებასა და სურვილებს გამოთქვამენ. ჩანაწერებს ხშირად ასე ამთავრებენ: „გმადლობთ, მომავალ შეხვედრამდე!“.

ამიტომაცაა, რომ ტურბაზებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებებში მაღალი მაჩვენებლებისთვის აქ მრავალ დიპლომსა და სიგელებს ნახავთ.

**ბ. ალშიბაია.**
**(„ლელოს“ კორ.).**

ზუგდიდი.



# ვისაც არ უნახავს შატილი, მუცო...

**საქართველოში** უამრავი ტურისტული მარშრუტია, რომელიც ისტორიული ძეგლების დათვალიერების საშუალებას იძლევა. ერთ-ერთი ასეთი მარშრუტია: თბილისი — შუაფხო — მათურის უღელტეხილი — მათური — ხახაბო — არდოტი — მუცო — შატილი — თბილისი, რომელსაც მრავალი მოგზაური ეტანება.

ტურისტებს აქ, უწინარეს ყოვლისა, იზიდავს დიდებული შატილი, მუცო და გრანდიოზული ბუნების სიმშვენიერე.

მათ; ვისაც ეს ყველაფერი არ უნახავთ, ვურჩევთ გაიარონ ეს მარშრუტი.



შატილი.

ლაშქრობა თბილისიდან იწყება. მოგზაურნი ავტომობილით გაივლიან საქართველოს სამხედრო გზას ჟინვალამდე და ზღაპრული სილამაზის ფშავის არაგვის ხეობით ადიან სოფელ შუაფხოში. ამ მანძილის გავლას ავტომანქანით 3,5 საათი სჭირდება. სოფელ შუაფხოდან გზას ფეხით აგრძელებენ სოფელ მათურამდე (10 კმ), მეორე დღეს კი გზას ჩრდილოეთისკენ იღებენ. ციცაბო ბილიკს ისინი გაჰყავს ალპურ ზონაში — უღელტეხილ მათურზე (3000 მ), რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთავარ ქედზე, მწვერვალებს ქომაგისმთასა და ჩანისმთას შორის. უღელტეხილის გავლის შემდეგ (1 საათი) ბილიკი ეშვება მდინარე ჰანჰახის წყლის სათავესთან, კიდევ 2 საათის სიარულის შემდეგ გამოჩნდება მთის ძირს მდებარე სოფელი ზემო ხახაბო (მანძილი იქამდე 18 კმ-ია). ტურისტები აქ დაბანაკდებიან.

სოფელ ზემო ხახაბოდან ქვემო ხახაბოში ნახევარ საათში შეიძლება ჩასვლა. საათნახევრის შემდეგ გამოჩნდება მდინარე ანდაკის ველის ზემოთ კლდოვან „კუნძულზე“ მდებარე სოფელი არდოტი, ერთი ამდენი მანძილის გავლის შემდეგ კი ძველებური ხევსურული ციხე — თორღვაის ციხე (სოფელი მუცო). სოფელ მუცოდან 2 საათის სავალზეა (19 კმ) სოფელი ანატორი (ძველი სამარხი).

სოფელ ანატორიდან შატილამდე 3 კილომეტრია. შატილის დათვალიერების შემდეგ ტურისტები თბილისში ბრუნდებიან.



სოფელი მუცო.

# ჯანსაღი ოჯახი ქვეყნის სიმდიდრეა

**თუმცა,** საოჯახო საქალაქო სპარტაკიადა უკვე მეშვიდედ ჩატარდა თბილისში, სათანადო პოპულარობა მაინც ვერ მოიპოვა. შეჯიბრებას აშკარად აკლია მასობრიობა და მომზადების დონე, თუმცა ქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველომ და პირადად ფიზკულტურის გამაჯანსაღებელი მუშაობის უფროსმა ინსპექტორმა ლევან ყურაშვილმა ყველაფერი იღონეს ამ ასპარეზობის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად. შეჯიბრება რესპუბლიკის საუკეთესო ბაზებზე მიმდინარეობდა: სროლაში და ცურვაში მონაწილეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში, ხოლო სხვადასხვა დისტანციებზე რბენას, ბურთის და ხელყუმბარის ტყორცნებს ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონმა უმასპინძლა.

სულ სტარტზე გამოვიდა 16 ოჯახი. აქედან შეფასება მიიღო 12 ოჯახმა. გუნდური ადგილები ასე განაწილდა. პირველ ადგილზე გლდანის რაიონის საბინაო საექსპლოატაციო ტრესტის წარმომადგენლები გავიდნენ (ფიზკულტურის მეთოდისტი ზურაბ ოშაყმაშვილი), მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად 26 კომისრის და კალინინის რაიონების საბინაო საექსპლოატაციო ტრესტის სპორტსმენებმა დაიკავეს. პირად შეჯიბრებაში გაიმარჯვა საპელკოვების ოჯახმა, მეორე ადგილი დაიკავა შუვეების (ორივე — გლდანის რაიონი), ხოლო მესამე ლეშკაშელების ოჯახებმა (ლენინის რაიონი).

გვაქვს ერთი შენიშვნა: შეჯიბრების აფიშები რატომღაც მხოლოდ რუსულად იყო შედგენილი. სპარტაკიადის ორგანიზატორებმა თავი იმით იმართლეს — ლიტველები გვყავდა მოწვეული, ქართულად რომ ყოფილიყო, აფიშის შინაარსს ვერ გაიგებდნენო. აფიშის ძირითადი დანიშნულება ისაა, რომ ხალხი მიიწვიოს შეჯიბრებაზე დასასწრებლად. გვეეჭვება, რომ ლიტველებს თავიანთ რესპუბლიკაში იგივე გაეკეთებინათ ამ მიზნისთვის.

**ლევან ჯაბაძის**
ტექსტი და ფოტოები.











სურათებზე: საოჯახო სპარტაკიადაში გამარჯვებული საპელკოვების ოჯახი; შეჯიბრების მომენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის საკლუბო ტურნირები

გუშინ გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების 1988-89 წლების გათამაშებათა პირველი ტურის საპასუხო შეხვედრები. ჩვენი გაზეთის დაბეჭდვის დროისთვის ცნობილი იყო რამდენიმე საბჭოთა კლუბის შეხვედრის შედეგი:

### თასების მფლობელთა თასი

**მერვედფინალი** (printed: მეთექვსმეტედფინალი)

„მეტალისტი" (ხარკოვი) — „ბორაცი" (იუგოსლავია) 4:0.

### უეფა-ს თასი

**ოცდამეთორმეტედფინალი**

„ტორპედო" (მოსკოვი) — „მალმე" (შვეცია) 2:0.

„დინამო" (მინსკი) — „ტრაკია" (ბულგარეთი) 0:0.

მინსკის „დინამო" და ხარკოვის „მეტალისტი" გავიდნენ გათამაშების შემდგომ წრეში. ტორპედოელთა მატჩში დაინიშნა დამატებითი დრო.

# სსრ კავშირის თასზე

**სსრ კავშირის** საფეხბურთო თასის 48-ე გათამაშებაში გამოვლინდა მეოთხედფინალის 5 მონაწილე: „სპარტაკი" (მოსკოვი), „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი), „ტორპედო" (მოსკოვი), „დინამო" (თბილისი), „ტორპედო" (ქუთაისი).

წლეულს ჩასატარებელია კიდევ 3 საპასუხო მერვედფინალური მატჩი: „დინამო" (კიევი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი), „ნეფთჩი" (ბაქო) — „დინამო" (მინსკი), „ტრაქტორი" (პავლოდარი) — „შახტიორი" (დონეცკი). ამ შეხვედრათა თარიღები ჯერ დადგენილი არაა.

თასის მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება გაისად გაზაფხულზე.

# ლიდერობს 35-ე სკოლა

**ოდესაში** გრძელდება ოლიმპიური რეზერვებისა და I ლიგის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო პირველობის ფინალური ეტაპი. როგორც იცით, ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკა 35-ე საფეხბურთო სკოლით არის წარდგენილი. ჩვენმა ფეხბურთელებმა ძლიერად ჩაატარეს ფინალური ეტაპის მეორე შეხვედრაც. მათ ანგარიშით — 1:0 სძლიეს მინსკელ თანატოლებს, ეს ერთადერთი ბურთი რ. კერძევაძემ გაიტანა. მეორე ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (კიევი) 2:1, „ნეფთჩი" (ბაქო) — „ლუჟნიკი" (მოსკოვი) 1:1.

მორიგ მატჩში ჩვენი ფეხბურთელები ბაქოს „ნეფთჩის" შეხვდებიან, ორი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 4 |
| „დინამო" კ. | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 2 |
| „ჩერნომ." | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 2 |
| „დინამო" მნ. | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 2 |
| „ლუჟნიკი" მ. | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| „ნეფთჩი" ბ. | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

# სტუმრად დინამოელებთან

**თბილისის** „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის გულშემატკივართა კლუბის პრეზიდიუმის წევრები, გულშემატკივრები, ფეხბურთის მოყვარულები, თბილისის „დინამოს" გუნდის ხელმძღვანელობას ეწვივნენ. მასპინძლები გულშემატკივრებს ესაუბრნენ კოლექტივის პრობლემებზე, პერსპექტივებზე, ცვლილებებზე და უპასუხეს მრავალ შეკითხვას.

გამოთქვეს რწმენა, რომ ასეთი შეხვედრა ტრადიციული გახდება, გულშემატკივარი რეგულარულად მიიღებს ინფორმაციებს გუნდის შესახებ.

**მზია მეგალიშვილი.**

# ქალაქის ჩემპიონატი მინიფეხბურთში

**„ბურევესტნიკის"** სპორტულ კომპლექსში გრძელდება თბილისის ჩემპიონატი მინიფეხბურთში ქალაქის უბნებს შორის. პირველი მეოთხედფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა: „ვერა" — „მუხიანი" 2:2, „საბურთალო"-1 — „ვაკე" 3:0, „საბურთალო"-2 — „ოქროს-უბანი" 0:1, „დიღომი" — „მთაწმინდა" 5:2.

მეოთხედფინალის მორიგი ტურის შეხვედრებს „ბურევესტნიკი" შაბათს 10 საათიდან უმასპინძლებს.



### როცა ძალიან სთხოვეს

რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგოს" ხელმძღვანელობამ ბრაზილიელ ფეხბურთელ ზიკოს დაბეჯითებით სთხოვა თავი არ დაენებებინა ფეხბურთისთვის და გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც დაითანხმა იგი.

ახლა მიღებულია ასეთი გადაწყვეტილება: ზიკო მონაწილეობას მიიღებს ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრებში, მეორეხარისხოვან მატჩებში კი არ ითამაშებს და ამ დროს „ფლამენგოში". ადმინისტრაციულ სამუშაოს შეასრულებს.

### 5293 მონაწილე

საფრანგეთის საფეხბურთო თასის 1988-89 წლების გათამაშებას მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა ჰყავს — 5293 გუნდი! ასეთი მასობრივი ღონისძიება ფრანგულ ფეხბურთს საერთოდ არ ახსოვს.

### ჩემპიონობას „ნაპოლი" მოიპოვებს

ასე მიაჩნია ამ გუნდის წევრს, ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელს კარეკას. იგი ფიქრობს, რომ აღარ გამეორდება ის გაუგებარი ამბავი, როცა „ნაპოლიმ" იტალიის 1987-88 წლების ჩემპიონატის ფინიშზე ყველა მატჩი წააგო და პირველი ადგილი „მილანს" დაუთმო. კარეკა ამბობს, რომ 1988-89 წლების ჩემპიონატში 18 გოლს გაიტანს და სნაიპერთა შორის პირველი იქნება.

გუნდის ახალმა წევრმა, ბრაზილიელმა ალემაომ ასევე ოპტიმიზმი გამოთქვა იტალიის ახალი ჩემპიონატის წინ. მისი აზრით, გუნდში მარადონა საფეხბურთო ფანტაზიის განხორციელებაა, თვით ალემაო კი მუშა ფეხბურთელის ნიმუში გახლავთ.

**გასულ** შაბათ-კვირას გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის 30-ე ტურის შეხვედრები.

„ბახტრიონი" (ახმეტა) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:0. **მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლი: ხოხობაშვილი („ბახტრიონი").

„**ივერია" (ხაშური) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 3:2. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: ხარაზიშვილი, ლამბაშიძე, ოსაძე („ივერია"), კიკნაძე-2 („მეტალურგი").

„**სპარტაკი" (ცხინვალი) — „მეშახტე" (ტყიბული) 6:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (ქუთაისი).** გოლები: გობოზოვი, ვ. ხუბეჯიშვილი, კახნიაშვილი, რომელაშვილი, გ. ხუბეჯიშვილი, ა. ჯიოევი („სპარტაკი").

„**საპოვნელა" (თერჯოლა) — „არმაზი" (მცხეთა) 1:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: ჩინჩალაძე („საპოვნელა"), ხუცურაული („არმაზი").

„**სქური" (წალენჯიხა) — „დინამო" (გაგრა) 2:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: კ. კვარაცხელია, ვ. კვირტია („სქური").

„**დინამო" (ზუგდიდი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 3:1. მსაჯი ო. გაგუა (სოხუმი).** გოლები: ო. თუთბერიძე, ვ. თუთბერიძე-2 („დინამო"), ონიანი („შადრევანი").

სოხუმელი ზ. მილჩენკო, რომელიც დანიშნული იყო ამ მატჩის არბიტრად, არ გამოცხადდა თამაშზე. მისი საკითხი გადაეცა რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმს განსახილველად.

„**მაღაროელი" (ჭიათურა) — „დურუჯი" (ყვარელი) 2:0. მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).** გოლები: ქველაძე, სევასტოპულო („მაღაროელი").

მოწინააღმდეგესთან კამათისთვის გაფრთხილებულია გ. ერაძე, ხოლო მსაჯთან კამათისთვის — დ. მოდებაძე (ორივე — „მაღაროელი"). უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ბ. მოსიაშვილი, ხოლო მსაჯის გადაწყვეტილების უარყოფისთვის — გ. ცოფურიშვილი (ორივე — „დურუჯი").

„**სულორი" (ვანი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 4:2. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).** გოლები: გ. ვერულაშვილი, რ. ძაგნიძე, ჯ. ვერულაშვილი, ბელთაძე („სულორი"), ჭეჭელაშვილი, ახალკაცი („ქართლი").

„**მადნეული" (ბოლნისი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 4:1. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: ბეს. უგულავა-2, ჯაგოვი-2 („მადნეული"), შამუგია („ამირანი").

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლხეთი" (ხობი) 3:3. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).** გოლები: ლაცაბიძე, გოგაძე-2 (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ზ. ლატარია, ქომეთიანი, ბაკურაძე („კოლხეთი").

სახიფათო თამაშისთვის გააფრთხილეს ზ. ინწკირველი, მსაჯთან კამათისთვის — მ. ჯულელი, ხოლო მ. ლაცაბიძე — დროის განზრახ გაყვანისთვის (სამივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი). მსაჯთან კამათისთვის მინდვრიდან გააძევეს მ. ლაცაბიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

„**სალხინო" (გეგეჭკორი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 1:0. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი).** გოლი: ჭუბაბრია („სალხინო").

# საქართველოს პირველობა

### II ჯგუფი

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „სამგორი" (გარდაბანი) 2:2, „არაგვი" (დუშეთი) — „თორი" (ბორჯომი) 3:0, „მესხეთი" (ახალციხე) — სსი (მუხრანი) 2:1, „კახეთი" (თელავი) — „მეტალისტი" (რუსთავი) 3:2.

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

„საირმე" (მაიაკოვსკი) — „ჩხერიმელა" (ორჯონიკიძე) 5:4, „ოდიში" (ზუგდიდის რ-ნი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 1:0, „ქიმიკოსი" (ამბროლაური) — „ნარინჯი" (ქობულეთი) 2:2, „დვაბზუ" (მახარაძე) — „ჩიბათი" (ლანჩხუთის რ-ნი) 2:0, „მზიური" (გალი)-ხდკ (სამტრედია) 3:0, „მამისონი" (ონი) — „დარჩელი" (ზუგდიდის რ-ნი) 2:2, „კოლხეთი"-2 (ფოთი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 5:1.

### III ჯგუფი

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

„განთიადი" (დმანისი) — „ქიზიყი" (სიღნაღი) 3:1, „კოლმეურნე" (მარნეული) — „გარისი" (თეთრი წყარო) 2:1. „გარეჯი" (საგარეჯო) — „მიონი"-35 (თბილისი) 1:2.

**ცენტრალური ქვეჯგუფი**

„ქვემო ქალა" (კასპის რ-ნი) — „ზარზმა" (ადიგენი) 4:0, „მშენებელი" (ჭიათურა) — „ავტომობილისტი" (გორი) 3:2, „ფეიქარი" (ხაშური) — „მეშაქრე" (აგარა) 3:1.

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

„ბეთლემი" (ქედა) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 1:1.

### მსაჯთა რეესტრი

**7-9 ოქტომბერი**

„მაღაროელი" (ჭიათურა) — „არმაზი" (მცხეთა). **თ. ლორთქიფანიძე, თ. სადილიანი** (თბილისი), **დ. რეხვიაშვილი** (გარდაბანი). „მეშახტე" (ტყიბული) — „ქართლი" (გორის რ-ნი). **მ. ჭელიძე, ნ. ბიძინაშვილი** (თბილისი), **გ. გელაშვილი** (რუსთავი). „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „შადრევანი" (წყალტუბო). **გ. გაბისკირია, ო. გაგუა** (სოხუმი), **რ. წურწუმია** (ზუგდიდი). „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „ამირანი" (ოჩამჩირე). **რ. ტალიაშვილი** (თბილისი), **რ. გვაზავა** (აბაშა), **თ. მაჭარაძე** (წულუკიძე). „დურუჯი" (ყვარელი) — „კოლხეთი" (ხობი). **ვ. ხეჩოიანი, ნ. კილაძე, ი. შალამბერიძე** (თბილისი). „დინამო" (გაგრა) — „ბახტრიონი" (ახმეტა), **გ. კალანდია, ს. კვარაცხელია, რ. წურწუმია** (ზუგდიდი). „ივერია" (ხაშური) — „ეგრისი" (ცხაკაია). **გ. მენთეშაშვილი, ა. მანუკიანი, ა. წერეთელი** (თბილისი). „სპარტაკი" (ცხინვალი) — „სალხინო" (გეგეჭკორი). **მ. მაღლაფერიძე, ვ. შელია, გ. მიქაუტაძე** (ქუთაისი). „სულორი" (ვანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). **მ. მაღალდურაძე, ზ. დარჩია, ლ. ჩიტაია** (თბილისი). „დინამო" (ზუგდიდი) — „მადნეული" (ბოლნისი). **ს. პრავოვი, რ. ჩიქოვანი, ა. ამიჩბა** (გაგრა). ეს შეხვედრა გალში გაიმართება. „საპოვნელა" (თერჯოლა) — „სქური" (წალენჯიხა). **ვ. ვერულაშვილი, მ. კობიაშვილი, თ. ლაცაბიძე** (თბილისი). „მაღაროელი" (ჭიათურა) — „მეშახტე" (ტყიბული). **რ. ჩიქოვანი, ა. ამიჩბა, ს. პრავოვი** (გაგრა). „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „არმაზი" (მცხეთა). **ა. მანუკიანი, დ. მენთეშაშვილი, ე. ხილაგავა** (თბილისი). „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „ქართლი" (გორის რ-ნი). **ს. კვარაცხელია, გ. კალანდია, რ. წურწუმია** (ზუგდიდი). „დურუჯი" (ყვარელი) — „შადრევანი" (წყალტუბო). **ი. კანდელაკი, თ. სოფრომაძე, თ. კურტანიძე** (თბილისი). „ამირანი" (ოჩამჩირე) — „ბახტრიონი" (ახმეტა). **ზ. დარჩია, მ. მაღალდურაძე, თ. ლაცაბიძე** (თბილისი). „ივერია" (ხაშური) — „კოლხეთი" (ხობი). **ჯ. წერეთელი, მ. ფოლადაშვილი, ა. დათიაშვილი** (რუსთავი). „სპარტაკი" (ცხინვალი) — „დინამო" (გაგრა). **ი. შალამბერიძე, ვ. ხეჩოიანი, ნ. კილაძე** (თბილისი). „საპოვნელა" (თერჯოლა) — „ეგრისი" (ცხაკაია). **გ. გაბისკირია, რ. ტალიაშვილი** (თბილისი), **ო. გაგუა** (სოხუმი). „სულორი" (ვანი) — „სალხინო" (გეგეჭკორი). **თ. ლორთქიფანიძე, თ. სადილიანი** (თბილისი), **დ. რეხვიაშვილი** (გარდაბანი). „დინამო" (ზუგდიდი) — „სქური" (წალენჯიხა). **ზ. ჯინჭარაძე** (მახარაძე), **გ. გვაზავა** (აბაშა), **თ. მაჭარაძე** (წულუკიძე), „მადნეული" (ბოლნისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). **მ. კობიაშვილი, რ. ვერულაშვილი, ლ. ჩიტაია** (თბილისი).

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 6 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი" | 30 | 21 | 6 | 3 | 74-34 | 48 |
| „სულორი" | 30 | 20 | 6 | 4 | 50-20 | 46 |
| „დინამო" ზ. | 30 | 17 | 10 | 3 | 71-33 | 44 |
| „ამირანი" | 30 | 15 | 5 | 10 | 50-35 | 35 |
| „შადრევ." | 30 | 14 | 7 | 9 | 45-38 | 35 |
| „მადნეული" | 30 | 11 | 9 | 10 | 54-50 | 31 |
| „დინამო" გ. | 30 | 13 | 4 | 13 | 38-43 | 30 |
| „დურუჯი" | 29 | 10 | 10 | 9 | 33-37 | 30 |
| „სამეგრ." | 30 | 14 | 1 | 15 | 51-55 | 29 |
| „სპარტ." | 30 | 11 | 7 | 12 | 50-44 | 29 |
| „მეტალ." | 30 | 11 | 5 | 14 | 50-48 | 27 |
| „მაღარ." | 30 | 11 | 4 | 15 | 46-52 | 26 |
| „სალხინო" | 30 | 11 | 4 | 15 | 40-51 | 26 |
| „ბახტრ." | 29 | 10 | 6 | 13 | 34-43 | 26 |
| „მეშახტე" | 30 | 9 | 8 | 13 | 27-44 | 26 |
| „არმაზი" | 30 | 8 | 10 | 12 | 38-45 | 26 |
| „სქური" | 30 | 10 | 5 | 15 | 42-50 | 25 |
| „საპოვნ." | 30 | 9 | 7 | 14 | 40-44 | 25 |
| „ივერია" | 30 | 9 | 7 | 14 | 32-46 | 25 |
| „ქართლი" | 30 | 9 | 5 | 16 | 33-51 | 23 |
| „ეგრისი" | 30 | 8 | 6 | 16 | 34-58 | 22 |
| ფიზკ. ინს. | 28 | 6 | 10 | 12 | 44-55 | 22 |

**სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში**

# ხელის გაწვდენაზეა ჩემპიონობა

**გუშინწინ** გაიმართა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის მატჩები. ჩემპიონობის უპირველესი პრეტენდენტი ქუთაისის „მშენებელი" ალმა-ათაში შეხვდა ადგილობრივ არმიელთა გუნდს. თამაში დამთავრდა ფრედ — 12:12. თბილისის „ელმავალი", რომელიც მეხუთე ადგილის მოსაპოვებლად იბრძვის, მოსკოვში დიდი ანგარიშით (4:30) დამარცხდა „სლავასთან". ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: სსა (მონინო) — ეტს (კრასნოიარსკი) 26:6, „ავიატორი" (კიევი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 12:22.

### გათამაშების ცხრილები

**მდგომარეობა 6 ოქტომბრისთვის**

**სუპერფინალი (I-IV ადგილები)**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი" | 5 | 3 | 1 | 1 | 12 |
| ასკ (ალმა-ათა) | 5 | 2 | 1 | 2 | 10 |
| სსა (მონინო) | 5 | 2 | 0 | 3 | 9 |
| ეტს (კრასნოიარსკი) | 5 | 2 | 0 | 3 | 9 |

**სანუგეშო ტურნირი (V-VIII ადგილები)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „სლავა" (მოსკოვი) | 5 | 3 | 0 | 2 | 11 |
| რრკ „ელმავალი" | 5 | 3 | 0 | 2 | 11 |
| „ლოკომოტივი" (მ.) | 5 | 3 | 0 | 2 | 11 |
| „ავიატორი" (კიევი) | 5 | 1 | 0 | 4 | 7 |

**ხვალ**, ბოლო ტურში, ითამაშებენ: „მშენებელი" — სსა, ეტს — ასკ; რრკ — „ავიატორი", „ლოკომოტივი" — „სლავა".

ამრიგად, მონინოელი და კრასნოიარსკელი რეგბისტები ჩემპიონობის მოპოვების ოცნებას უკვე გამოემშვიდობნენ. პირველობის წმინდა თეორიულ შანსს ინარჩუნებენ ალმაათელები: „მშენებელს" ქულებით რომ დაეწიონ და ნეიტრალურ მოედანზე ქუთაისელებთან დამატებითი მატჩის გამართვის უფლება მოიპოვონ, ალმაათელებმა კრასნოიარსკში უნდა სძლიონ იქაურ გუნდს, რომელიც თავის მხრივ, ვერცხლის მედლების მოსაპოვებლად იბრძვის, ქუთაისელები კი შინ უნდა დამარცხდნენ გაგარინელებთან. ყველა სხვა შემთხვევაში ჩემპიონის ტიტულს ზედიზედ მეორედ მოიპოვებს ქუთაისის „მშენებელი". ასე რომ, პარასკევს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართება.



რაც შეეხება რრკ „ელმავალს", „ავიატორთან" გამარჯვების შემთხვევაში იგი მეექვსე ადგილს გაინაღდებს; ამასთან, თუ „ლოკომოტივი" თუნდაც ერთ ქულას დაakარგვინებს „სლავას", თბილისელები მეხუთე ადგილზე გავლენ.

წყალბურთელთა საკავშირო პირველობა ● I ლიგა

# წინ გადაინაცვლეს

**გაიმართა** I ლიგის წყალბურთელთა საკავშირო პირველობის მეორე წრის პირველი ტური. თბილისის ასკ, რომელიც № 3 უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის ბაზაზეა შექმნილი, დუშანბეში ასპარეზობდა.

ჩვენმა გუნდმა აქ ერთნაირი ანგარიშით (9:8) დაამარცხა ყაზანის „სინთეზი" და ტაშკენტის „მეხნატი", ფრედ ითამაშა ჟდანოვის „აზოვთან" (8:8) და დუშანბეს გუნდთან (9:9), ხოლო კაუნასის „ბანგასთან" დამარცხდა (9:11).

ამრიგად, ჩვენმა გუნდმა დუშანბეში 6 ქულა აიღო, რითაც სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა — მეცხრედან მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა.

ახლა პირველობას ერთპიროვნულად ლიდერობს მოსკოვის „ტორპედო", რომელსაც 28 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე მოდიან: „ბანგა", დუშანბეს გუნდი (22–22), „მეხნატი", ვოლგოგრადის „სპარტაკი" (18–18), კიშინიოვის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის გუნდი (16), თბილისის ასკ, „აზოვი" (14–14), „სინთეზი" (13), მოსკოვის „მაიაკი" (10), ბაქოს უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის გუნდი (9) და ლენინგრადის „ბალტიკა" (7).

მეორე წრის მეორე ტურის მატჩებს თბილისელები 20 ოქტომბრიდან ჟდანოვში გამართავენ, ხოლო 14 ნოემბრიდან თავად უმასპინძლებენ დასკვნით ასპარეზობას.

საჭადრაკო კომპოზიცია — ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

# XII მსოფლიო პირველობაზე

ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნა, რომელიც კომპოზიციის დაბადების დღიდან მომდინარეობს, მეტად გონივრული და ამასთან, აზარტული შემოქმედებითი პროცესია და ჭადრაკის მოთამაშეთა შორის ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. უკვე XIX საუკუნეში დიდად გავრცელებული იყო ამომხსნელთა შეჯიბრებები, რომლებსაც ძირითადად დაუსწრებელი კონკურსის სახე ჰქონდა. მათ დღესაც არ დაუკარგავთ პოპულარობა. ჩვენს რესპუბლიკაშიც ბევრჯერ გამართულა ამოხსნის კონკურსები, თუმცა ამჟამად რეგულარულად მათ მხოლოდ ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა" მართავს ყოველი წლის დეკემბრის ნომერში. მაგრამ ამოხსნის დაუსწრებელ კონკურსებს ერთი გამოუსწორებელი ხარვეზი აქვს. კონკურსის ვადა რამდენიმე თვეს მოიცავს და ამასთან, ამომხსნელის მუშაობის პროცესი სამსაჯო კონტროლის გარეშე რჩება, ე. ი. გამორიცხული არ არის გარეშე პირის დახმარებაც, რაც თვით ამომხსნელის რეალური ძალის შეფასებას აძნელებს.

ამიტომ მსოფლიოში თანდათან პოპულარული ხდება ორგანიზაციულად უფრო რთული, მაგრამ სპორტული თვალსაზრისით უფრო საინტერესო და ობიექტური — ამოხსნების დასწრებული კონკურსი. 1976 წელს ბულგარეთის ჭადრაკის ფედერაციის თაოსნობით შემუშავდა წესები და მოეწყო პირველი ექსპერიმენტული დასწრებული გუნდური პირველობა სხვადასხვა ქვეყნის ამომხსნელებს შორის. მას ბევრი მომხრე გამოუჩნდა და ამიტომ მომდევნო წელს ჩატარებულმა შეჯიბრებამ უკვე მსოფლიოს გუნდური პირველობის სტატუსი მიიღო.

უკანასკნელი ათწლედის განმავლობაში პირველობის რეგლამენტი ერთგვარ ცვლილებებს განიცდიდა, რადგან როგორც საორგანიზაციო, ისე სამსაჯო შეფასების წესები დახვეწას მოითხოვდა. რიგით XII გუნდური პირველობა ახლახანს, აგვისტოს ბოლო რიცხვებში გაიმართა ქ. ბუდაპეშტში, სადაც პარალელურად მიმდინარეობდა საჭადრაკო კომპოზიტორთა XXXI საერთაშორისო კონგრესი. როგორც კონგრესის მონაწილეს, საშუალება მქონდა დავსწრებოდი გუნდურ პირველობასაც და მინდა მის შესახებ მოვუთხრო საჭადრაკო კომპოზიციით დაინტერესებულ ჩვენს მკითხველს.

შეჯიბრება უნგრეთის საჭადრაკო კავშირის სახლში გაიმართა. მას ბუდაპეშტის ცენტრში მდებარე ლამაზი შენობის ერთი სართული უკავია. აქვეა განლაგებული ჟურნალ „შაკელეტის" რედაქცია. საყურადღებოა მდიდარი საჭადრაკო ბიბლიოთეკა, რომელსაც განსაკუთრებით ამშვენებს მრავალი ქვეყნის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული საჭადრაკო ჟურნალების კომპლექტები. მონაწილეები განლაგდნენ ორ დიდ ოთახში, რომელთაც სამუზეუმო ფუნქციაც გააჩნიათ. კედლებზე უნგრეთის საჭადრაკო ცხოვრების ამსახველი ბევრი ისტორიული სურათი და სტენდი იქცევს ყურადღებას. სპეციალურ კარადებში კი უნგრელი მოჭადრაკეების ბევრი ღირსშესანიშნავი ჯილდო, სიგელი და სხვადასხვა ნივთია წარმოდგენილი. გავიფიქრე, რომ არც ჩვენს ჭადრაკის სასახლეს აწყენდა ამგვარი კუთხის შექმნა.

ყოველი მონაწილეს ჭადრაკით „ალჭურვილი" ცალკე მაგიდა მიუჩინეს, მაგრამ უმრავლესობა საკუთარი ინვენტარით (ზოგს ორი ჭადრაკიც ჰქონდა) ამჯობინებდა ამოხსნას, რადგან ამომხსნელისათვის ამ ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც აქვს მნიშვნელობა. პირველ დღეს ამომხსნელები ხსნიდნენ სამი ტურის მასალებს: 3 ორსვლიან ამოცანას (მასზე ლიმიტი იყო 20 წუთი), 3 სამსვლიან ამოცანას (60 წ.) და 3 ეტიუდს (100 წ.). ტურებს შორის იყო 15-წუთიანი შესვენება. მეორე დღეს შედგა დანარჩენი სამი ტური: 3 ამოცანა ნადიმამათზე (50 წ.), 3 მრავალსვლიანი ამოცანა (80 წ.) და 3 ამოცანა თვითშამათზე (50 წ.). ყოველი ტურის მასალა — ერთი ფურცელი დიაგრამებით, მონაწილეს ურიგდებოდა, რომელსაც ამოხსნის გაფორმების და დროის აღნიშვნის შემდეგ ჟიური უკან იბარებდა.

ამოხსნის გაფორმებას თავისი მტკიცე წესი აქვს და ამომხსნელი ვალდებულია დაიცვას იგი. თითოეული ნაწარმოების ამოხსნა 5 ბალით ფასდებოდა შერჩეული სავარიანტო სტრუქტურის მიხედვით. ასე გადაწყვიტეს ორგანიზატორებმა — უნგრელმა მსაჯებმა. მართალია, შეჯიბრების დროს იყვნენ უკმაყოფილონიც, იყო პროტესტებიც, მაგრამ მთლიანად ამას ხელი არ შეუშლია პირველობის ნორმალური მსვლელობისათვის. საზეიმო დახურვის დროს მონაწილეთა შორის მეგობრული და ჯენტლმენური სულისკვეთება სუფევდა.

ყოველ გუნდში სამი მონაწილე გამოდიოდა, ჩასათვლელ ქულებს კი ყოველ ტურში ორი საუკეთესო მაჩვენებელი იღებდა. 13 მონაწილიდან გაიმარჯვა გფრ-ის გუნდმა, რომელმაც ჯამში 161 ქულა მოაგროვა და 18 ნაწარმოების ამოხსნაზე 538 წუთი დახარჯა. მეორე იყო ფინეთი (151 ქულა და 537 წუთი), ხოლო მესამე — დიდი ბრიტანეთი (151, მაგრამ 570 წუთში). პირად ჩათვლაში 82 ქულით ყველას აჯობა გერმანიის გუნდის წარმომადგენელმა მ. ფვანკუხემ. მოგვყავს ერთ-ერთი სამსვლიანი ამოცანა, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, საბჭოთა პრობლემისტს ეკუთვნოდა.

**რ. კოფმანი, 1948**



**შამათი 3 სვლაში**

ამ ამოცანის გაფორმება მონაწილეს შემდეგნაირად ევალებოდა: 1. b3! მუქარით 2. ეb2 და 3. ეb1× (ამ ვარიანტს ეწერებოდა 1 ქულა), 1. ...ეg5 2. d4 (1 ქ.), 1. ...ეg4 2. d3 (1 ქ.), 1. ...ეg3 2. მf4 (1 ქ.), 1. ...ეg1 2. მ:g1 (1 ქ.), რაც ჯამში 5 ქულას იძლეოდა.

ცხოველი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე პირადმა შეჯიბრებამ, რომელშიც ძალებს ცდიდა 56 მონაწილე, მათ შორის ორი დიდოსტატი მოჭადრაკე — ჯ. მესტელი (ინგლისი) და პ. ბენკო (აშშ — უნგრეთი). კონკურენტებს ერთ დღეში 12 ნაწარმოები (2-2 ორსვლიანი, სამსვლიანი, მრავალსვლიანი, ნადიმამათი, თვითშამათი და ეტიუდი) უნდა ამოეხსნათ. გამარჯვებული მარკო კლასინჩის (იუგოსლავია) მაჩვენებელი იყო 34 ქულა (221 წუთში). სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები ამ შეჯიბრებებში არ მონაწილეობდნენ.

**ლ. ტამკოვი, 1976**



**შამათი 8 სვლაში**

ინდივიდუალურ შეჯიბრებაზე წარმოდგენილი ამ რვასვლიანი ამოცანის გონებამახვილური ამოხსნა მსაჯებმა 5 ქულით შეაფასეს: 1. f8კ! b3 2. კa3 მფa2 3. კb4+ მფb4 4. კ:d2 ed 5. c7 e3 6. c8კ! e4 7. კa6..

არ შეიძლება ითქვას, რომ მსაჯების მიერ ამოსახსნელად შერჩეული ყველა ნაწარმოები უნაკლო იყო ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრისათვის. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ უცნობი და საინტერესო კომპოზიციების შერჩევა მეტად რთული საქმეა, ხოლო თვით ამოხსნის დასწრებული კონკურსების მსაჯობას გამოცდილება და ალბათ, წესების ჯერ კიდევ დახვეწა სჭირდება. უდავოა, რომ ამ ტიპის შეჯიბრებები ჩვენთანაც უნდა მოეწყოს, რათა რესპუბლიკის უძლიერესმა ამომხსნელებმა აიმაღლონ კლასი და გამოსცადონ თავისი ძალები.

ამოსახსნელად გთავაზობთ პირად პირველობაზე წარმოდგენილ სამსვლიან ამოცანას, რომელიც ჟიურის მიერ 3 ქულით იყო შეფასებული.

**XII მსოფლიო პირველობა**



**შამათი 3 სვლაში**

ველით თქვენს ამოხსნებს, ყველა საჭირო იდეური ვარიანტის ჩვენებით, ძვირფასო მეგობრებო!

## ამოხსნა

„ლელოს" 11 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი ი. კრიხელის ორსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. მd5! ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: ზ. თომაშვილი (ველისციხე, გურჯაანის რ.), ზ. ქველიაშვილი (რუსთავი), უ. ლომიძე (სურამი), მარიკა ჟღენტი, ნანა ჭკადუა (ორივე — სოხუმი), ზ. ცინცაძე, ა. ჩაფიჩაძე (ორივე — თერჯოლა), ნ. და რ. კახიძეები (ბათუმი).

# ლეონარდი რინგს დაუბრუნდა

პროფესიული რინგის სამყაროში

**მსოფლიოს** სამგზის ჩემპიონმა („უორლდ ბოქსინგ კორპორეიშნის" ვერსიით) ქვემძიმე წონაში „შუგერ"-რეი ლეონარდმა, რომელიც რინგის ნამდვილ ვირტუოზად ითვლება, გადაწყვიტა დაუბრუნდეს სარბიელს. იგი 32 წლისაა. ადრე მან კრივისათვის თავის დანებების გადაწყვეტილება მიიღო თვალის მძიმე დაავადების გამო (მსოფლიო პირველობაზე მარვინ ჰაგლერის დამარცხების შემდეგ). ახლა ექიმები მიიჩნევენ, რომ სპორტსმენი სრულიად განიკურნა.

ლეონარდი ერთადერთი მოკრივეა მსოფლიოში, რომელიც სხვადასხვა დროს 5 წონაში გამოსულა. მისი დაბრუნება ფინანსური მიზეზებითაც გახლავთ განპირობებული, რადგან ლეონარდს უახლოესი მატჩისათვის, რომელიც ნოემბერში უნდა გაიმართოს, 12 მილიონ დოლარს სთავაზობენ.

მისი მეტოქე იქნება კანადელი დონი ლალონდი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა მას შემდეგ (იმავე „უორლდ ბოქსინგ კორპორეიშნის" ვერსიით), რაც „შუგერმა" კრივს თავი დაანება.

ერთადერთი, რაც ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, მატჩის ჩატარების ადგილია. მისი გამართვა სურთ ატლანტიკ სიტის, ლას-ვეგასს, აგრეთვე, იაპონიის ზოგიერთ ქალაქს.

## შალვა ჩხატარაშვილი



უფროსი თაობის სპორტის მოყვარულებს კარგად ეხსომებათ წარსული წლების ცნობილი თბილისელი ფეხბურთელი შალვა იოსების ძე ჩხატარაშვილი. ეხსომებათ იმიტომ, რომ იგი მუდამ გამოირჩეოდა ლამაზი თამაშით, კორექტულობით, მეტოქისა და მაყურებლის პატივისცემით.

შ. ჩხატარაშვილი 1914 წელს დაიბადა, ბავშვობიდან თამაშობდა თბილისის კრსრაიონის გუნდში. შემდგომში გამოდიოდა ქალაქის სამომხმარებლო კოოპერაციის გუნდში (ტსპო) და „ლოკომოტივში". ეს გუნდი მაშინ ერთ-ერთი უძლიერესი იყო არა მარტო თბილისში, არამედ ამიერკავკასიაშიც, კერძოდ, 1940 წელს თბილისის „ლოკომოტივი" სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობდა უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

ბევრს კარგად ახსოვს ლოკომოტიველთა ეს მეგობრული კოლექტივი, იმ წლებში აქ გამოდიოდნენ ნ. ხალონინი, გ. ჯეჯელავა, ს. შუდრა, ნ. ჩხატარაშვილი, ბ. ვორონოვი, ს. სიხარულიძე, გ. აფრიდონიძე, ი. ჩერედნიჩენკო, ვ. პანიუკოვი და სხვანი.

სხვადასხვა წლებში შ. ჩხატარაშვილი თამაშობდა თბილისის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ნაკრებ გუნდებში, 1956 წელს მუშაობდა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსად.

შ. ჩხატარაშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, წლების განმავლობაში მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, პროკურატურაში, პენსიაში გასვლამდე იყო თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე. იგი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, მიღებული ჰქონდა დამსახურებული იურისტისა და ჩეკისტის მაღალი წოდება.

შალვა ჩხატარაშვილი თავის პროფესიულ საქმიანობაშიც და სპორტულ სარბიელზეც გამოირჩეოდა საქმის უანგარო სიყვარულით, კორექტულობით, პატიოსნებით, მას დამსახურებული ჰქონდა შეუბღალავი ავტორიტეტი, ამიტომაც მისი ხსოვნა მუდამ ნათელი იქნება ახლობლებისა და მეგობართა გულში.

**საქართველოს ფეხბურთის ვეტერანები.**

## ინფორმაცია

**მოსკოვი.** კრილატსკოეს ტრასაზე გაიმართა სსრ კავშირისა და იტალიის უძლიერეს მოტომრბოლელთა შეჯიბრება „მეგობრობის თასზე". მთავარი პრიზი მოიპოვა გასული წლის მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა, იტალიელმა კონტინი მასიმომ. მეორე ადგილზეა რიგელი ვიესტორს გამუსი, მესამეზე — მოსკოველი იური ხუდიაკოვი.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 9 ოქტომბერს.

რედაქტორის მოადგილე
**უ. ფიფინაძე.**


**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10854